



აკადემიის მაცნე

ელ-ფოსტა:
gaas.georgia@dsl.ge

ვებ-საიტი:
www.academy-as-georgia.dsl.ge

თბილისი, 0102, ივანე ჯავახიშვილის ქ. №51

ტ. 2 91 03 90

*სვლო აბ უნდა ჰგაერეს დღუანდრულს, თუ კაცს პბდტბრქსი,
წინსულა ადამიანისა თუქ: სიფყად აბ მიანინია
ილია ქაუქაუაძე*

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია თავის საქმიანობას წარმართავს აკადემიის წესდების შესაბამისად ჩამოყალიბებული სამუშაო გეგმის მიხედვით. აკადემიური საბჭოს სხდომა ტარდება ყოველთვიურად (კვარტალში სამი გეგმიური სხდომა) და იხილავს აგრარული მეცნიერების აქტუალურ საკითხებს, თანამედროვე მდგომარეობას, სადღეისო ამოცანებს, განვითარების პერსპექტივებს და სხვ. გაზეთი “აკადემიის მაცნე“, რომელიც გამოდის კვარტალში ერთხელ, სისტემატიურად აშუქებს აკადემიის საქმიანობას, აკადემიური საბჭოს სხდომაზე განხილულ ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხებს, თანამედროვე საინტერესო მოვლენებსა და მათდამი მიდგომებს, მოწინავე გამოცდილებასა და ტექნოლოგიებს და სხვ. გაზეთში ასევე ეთმობა ყურადღება საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან თანამშრომლობის მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებს.

ამგვარად გაზეთის ფურცლებზე შუქდება აკადემიის აკადემიური საბჭოს მოკლე ანგარიში ყოველ კვარტალში ჩატარებული საქმიანობის შესახებ. ვფიქრობთ იგი კარგი სარეკლამო – საინფორმაციო საშუალებაა აკადემიის საქმიანობის ობიექტურად შეფასებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების გალაყვივები

2013 წლის 22 თებერვალს ჩატარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც პრეზიდენტობის ვადის გასვლასთან დაკავშირებით აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობისაგან გაანთავისუფლა აკადემიკოსი შ.ჭალაგანიძე. კრებამ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს შოთა ჭალაგანიძეს აკადემიის საქმიანობის რთულ პერიოდში პრეზიდენტად ხანგრძლივი, ნაყოფიერი და ღირსეული მუშაობისათვის გამოუცხადა მადლობა.

აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის წევრების სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად 5 წლის ვადით აირჩია საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ბურამ ალექსიძე**.

ვულოცავთ ბატონ გურამს აკადემიის პრეზიდენტად არჩევას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, მრავალ წარმატებას სამეცნიერო, პედაგოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სახელით:

გაზეთ “აკადემიის მაცნეს”
მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზდენტი -
აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე



**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
აკადემიკოსი გურამ ალექსიძე**

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

გურამ ალექსიძემ 1962 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიის ფაკულტეტი. იმავე წელს ჩაირიცხა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1966 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1975 წელს – სადოქტორო დისერტაცია. 1989 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1990 წელს აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1992 წელს – ნამდვილ წევრად.

ბატონი გურამი 13 წლის განმავლობაში მუშაობდა მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის კვლევით ინსტიტუტში უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე. 1973 წლიდან გადაიყვანეს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა ჯერ ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ, 1974 წლიდან, დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1995 წლიდან 2004 წლამდე იყო აკადემიის მთავარი აკადემიკოს-მდივანი, ხოლო 2004 წლიდან ვიცე-პრეზიდენტი.

1983-1987 წ. წ. ბატონი გურამი მუშაობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქ. ვაშინგტონში საბჭოთა კავშირის საელჩოში მთავარი აგრონომის თანამდებობაზე, როგორც საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი.

გამოქვეყნებული აქვს 160-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 62 საერთაშორისო გამოცემაში.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით, საერთაშორისო ორგანიზაციების „სიჯიარისა“ და „იკარდას“ მიერ ორჯერ, 2005 და 2008 წლებში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი ერთობლივ კვლევებში შეტანილი წვლილისათვის.

სულ ცოტა ხნის წინ ბატონი გურამ ალექსიძის ინტერვიუ დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№42, 6 მარტი, 2013წ.), რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

* * *

დღეს საქართველოში, ახალი რეალობაა, ქვეყანა შევიდა განვითარების ახალ სტადიაში, რომელიც საკმაოდ რთული და წინააღმდეგობრივი იქნება.

წინა პერიოდში, დაზარადა არა მარტო ეკონომიკა, არამედ მეცნიერება და უმაღლესი განათლება.

დღეს, საბედნიეროდ რეალობა შეცვლილია, ახალი ხელისუფლება სერიოზულად დაინტერესდა მეცნიერებით, ჩვენ ვდგევართ საინტერესო გამოწვევების წინაშე. ქართულმა აგრარულმა მეცნიერებამ, უნდა უზრუნველყოს ქართული სასოფლო – სამეურნეო წარმოებისათვის მეცნიერული საფუძვლების შექმნა.

როგორც კარგადაა ცნობილი, აკადემიის მუშაობის ძირითადი მიმართულება იყო და არის აგრარული კვლევების სფეროში მომუშავე ყველა ორგანიზაციის სწორი კოორდინირება, რაც ჩვენი მოსახლეობის მაღალხარისხოვანი და ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით დაკმაყოფილების გარანტი უნდა გახდეს.

კორესპონდენტად ბატონო გურამ, რა მიგანძნიათ უპირველეს ღონისძიებად რაც უნდა განხორციელდეს აკადემიის უკეთ ფუნქციონირებისათვის?

გ. ალექსიძე – პირველ რიგში აკადემია უნდა გახდეს აგრარული კვლევის ერთიანი ძლიერი

ცენტრი. ამ მიზნით აგრარული პროფილის კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც ამჟამად აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია, გამოყვანილი უნდა იქნას ამ სისტემიდან და დაექვემდებაროს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას. ამავე დროს, ინსტიტუტებს უნდა გადაეცეს ადრე ამ ინსტიტუტების კუთვნილებაში მყოფი შენობა – ნაგებობები და ექსპერიმენტული ფართობები. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია უკლებლივ ყველა ინსტიტუტის ცალკე ფუნქციონირება, მაგრამ მათი შესაძლო გაერთიანებები, გამსხვილებები თემატიკიდან გამომდინარე, სრულიად მისაღებია. ამავე დროს, ჩვენი აზრით, საჭირო იქნება აკადემიაში შეიქმნას **“დანერგვის (ახალი ტექნოლოგიების გავრცელების) განყოფილება”**, რომლის ძირითადი ფუნქციაც იქნება მოწინავე ტექნოლოგიების შერჩევა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, მათი გავრცელება.

აკადემიაში უნდა ჩამოყალიბდეს აგრეთვე **“ფერმერთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის კურსები”**, სადაც ეს უკანასკნელი გაივლიან მოკლევადიან თუ გრძელვადიან მოსამზადებელ კურსებს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სფეროში. ვფიქრობთ, რომ ასეთი კურსები საწყის ეტაპზე, უნდა იყოს სახელმწიფო დაფინანსებით, შემდგომში კი შესაძლებელია მთლიანად ან ნაწილობრივ გადავიდეს თვითდაფინანსებაზე. ამავე დროს, ძალზედ მნიშვნელოვანია, რათა აკადემიის სისტემაში დაბრუნდეს დოქტურანტურა და აღდგეს აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოები.

ყოველივე ამის შედეგად, ჩვენ გვექნება ერთიანი ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს აკადემიას (მეთოდურ ხელმძღვანელს), კვლევით ინსტიტუტებს (კვლევების უშუალო მწარმოებელს), დანერგვის განყოფილებას (ახალი ტექნოლოგიების უშუალო გამავრცელებელს), ფერმერთა კვალიფიკაციის ამადლების ცენტრს (ახალი ტექნოლოგიების გამტარებელს საკუთარ მეურნეობაში), და ახალგაზრდა კადრების მომზადების ცენტრს (დოქტურანტურას).

ამ სტრუქტურული ცვლილებების განხორციელების შემდეგ შესაძლებელია საერთაშორისო ორგანიზაციების ან ექსპერტების მხარდაჭერის იმედი ვიქონიოთ, რომლებსაც დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ ინგრევა ქვეყანაში აგრარული მეცნიერება.

ზევით მოცემული საკითხების განხორციელება საკმაოდ რთულია, რადგან მოითხოვს სამთავრობო და საპარლამენტო გადაწყვეტილებებს, აგრეთვე მიზნობრივ დაფინანსებას, რადგან აკადემიას ამის შესასრულებლად საჭირო თანხები არ გააჩნია.

კორესპონდენტ ბატონო გურამ, რა ღონისძიებებს თვლით საჭიროდ, რათა თვითონ აკადემიაში გააქტიურდეს და უფრო მიზანმიმართული გახდეს მუშაობა?

გ. ალექსიძე – აკადემიის მუშაობაში აკადემი-

კოსების და წევრ – კორესპონდენტების მეტი ჩართულობის მიზნით, აკადემიაში ვაჟალიბებთ სპეციალურ დარგობრივ ჯგუფებს (მეხილეობის, მევენახეობის, მემარცვლეობის, მეცხოველეობის და ასე შემდეგ, სულ გვექნება 10-12 ჯგუფი), სადაც გაერთიანდებიან ამ დარგის აკადემიკოსები და წევრ – კორესპონდენტები, აგრეთვე მოწვეული ცნობილი სპეციალისტები (სამინისტროდან, უნივერსიტეტებიდან, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან და სხვა.). ჯგუფის ხელმძღვანელად – **ეროვნულ კოორდინატორად** აკადემიიდან აირჩევიან ამ დარგის გამორჩეული სპეციალისტები. ეროვნულმა კოორდინატორმა, ჯგუფთან ერთად, უნდა მიიღოს ინფორმაცია ქვეყნის ყველა მოქმედი ორგანიზაციიდან (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა), გაანალიზოს დარგში არსებული მდგომარეობა, განსაზღვროს პრიორიტეტები და ის მიმართულებები, რაც აუცილებელია დარგის შემდგომი განვითარებისათვის. ამისათვის ის აწეობს სემინარებს, თათბირებს, “მრგვალ მაგიდას”, ამზადებს პრაქტიკულ წინადადებებს საბჭოს სხდომაზე განსახილველად, მათი სამინისტროში ან სხვა ზემდგომ ორგანიზაციაში წარსადგენად.

კორესპონდენტ როგორც ჩვენთვის ცნობილია, აკადემიაში მუშაობს აკადემიური საბჭო 15 მეცნიერის შემადგენლობით. რამდენად ეფექტურია ასეთი მცირერიცხოვანი საბჭოს მუშაობა?

გ. ალექსიძე – მართალი ბრძანდებით, ჩვენ უკვე დავიწყეთ მმართველობითი სისტემის გაუმჯობესება. ამჟამად აკადემიაში ფუნქციონირებს აკადემიური საბჭო, რომლის ძირითადი ფუნქციაა ოპერატიული, ფინანსური და სამეცნიერო საკითხების განხილვა. ვფიქრობთ, რომ აკადემიაში, იმ ცვლილებების განხორციელების შემდეგ, რაც ზევით მოგახსენეთ, საჭირო იქნება აკადემიური საბჭოს ფუნქციების გაყოფა. ჩვენ უკვე შევქმენით აკადემიის სამეცნიერო – საკოორდინაციო საბჭო. რომელშიც გაერთიანდნენ აკადემიის წამყვანი მეცნიერები, ინსტიტუტების დირექტორები, ეროვნული კოორდინატორები, სამინისტროების და უწყებების წამყვანი სპეციალისტები და სხვა, რომლებიც ძირითადად განიხილავენ სამეცნიერო საკითხებს და მიიღებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს კვლევის მიმართულებებიდან გამომდინარე. რაც ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებასთან იქნება დაკავშირებული.

კორესპონდენტ ბატონო გურამ, საინტერესოა რა ურთიერთობები აქვს აკადემიას საერთაშორისო ორგანიზაციებთან და როგორ აპირებთ ამ ურთიერთობების გაფართოებას?

გ. ალექსიძე – ამჟამად ჩვენ გვაქვს ორმხრივი ხელშეკრულებები კვლევებზე ისეთ ორგანიზაციებთან, როგორცაა: “იკარდა” (მშრალი რეგიონების აგრარული კვლევის ცენტრი, ქ. ალექსო, სირია), “სიმიტი” (ხორბლის და სიმინდის სელექციის საერთაშორისო ცენტრი, ქ. მეხიკო,

მექსიკა), “იკრისატი” (ნახევრად მშრალი სუბტროპიკული რეგიონების კვლევის ცენტრი, ქ. პატანერუ, ინდოეთი), “ბიოვერსიტი” (საერთაშორისო მცენარეთა გენეტიკური რესურსების ინსტიტუტი, ქ. რომი, იტალია), მცენარეთა გენეტიკური რესურსების ევროპის კოოპერატიული პროგრამა, “კაკაარი” (შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კვლევითი ორგანიზაციების ასოციაცია), ჩინეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, გერმანიის ბონის უნივერსიტეტი, რუსეთის ვაიელოგის მეცენარეობის ინსტიტუტი. მათთან ურთიერთობით ჩვენი სპეციალისტების მიერ შექმნილია ხორბლის, ქერის, სამარცვლე პარკოსნების, ბოსტნეული კულტურების და სხვათა ახალი ჯიშები და პიბრიდები. დამუშავებულია მათი მოვლა – მოყვანის ახალი ტექნოლოგიები და სხვა. ფიქრობთ ჩვენმა აკადემიამ კიდევ უფრო უნდა გააფართოვოს ეს წრე და გააფორმოს ხელშეკრულებები რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიებთან, მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან (ტაივანი). თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა მაშინ იქნება ეფექტური, თუ ჩვენ შევძლებთ დავიბრუნოთ აგრარული პროფილის კვლევითი ორგანიზაციები, სადაც უნდა მოხდეს ამ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული

ჯიშების თუ ტექნოლოგიების აპრობირება ჩვენს ქვეყანაში.

კორესპონდენტო და ბოლოს, ყველასათვის ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსების (წევრ – კორესპონდენტების) ჰონორარი ძალზედ დაბალია, რას ფიქრობთ ამაზე?

გ. ალექსიძე – მართლაც ამჟამად აკადემიკოსების და წევრ – კორესპონდენტების ჰონორარი ძალზედ დაბალია (800 და 500 ლარი). ისიც გაუგებარია, თუ რატომ უნდა ჰქონდეს ჩვენს აკადემიკოსს ეროვნული აკადემიის წევრის 50%. აქედან გამომდინარე, ჩვენი მუშაობის ერთ – ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იქნება ძველი მოწვევის პარლამენტის ამ გადაწყვეტილების შეცვლა, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს, როდესაც ქვეყნის განვითარებისათვის სოფლის მეურნეობა ერთ – ერთ ძირითად პრიორიტეტად არის დასახული. ამავე პრობლემას უკავშირდება აკადემიის ნამდვილი წევრების არჩევნები. ჩვენ ამჟამად ვკაჟს რამოდენიმე წევრის ვაკანსია, რომელთა შესავსებად გამოცხადდება კონკურსი. ამასთან ერთად, არ მიგვაჩნია სწორად როდესაც კანონმდებლობით გვეკრძალება წევრ – კორესპონდენტების არჩევა, რაც აკადემიის გაახალგაზრდაებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა გახდეს.

საქართველოში მებოსტნეობის არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაჭრის გზები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 იანვარს მოისმინა საქართველოში ბოსტნეული კულტურების ნაციონალური კოორდინატორის, აკადემიური დოქტორის ნატო კაკაბაძის მოხსენება - “საქართველოში მებოსტნეობის არსებული მდგომარეობა და პრობლემების გადაჭრის გზები.”

აღინიშნა, რომ მებოსტნეობა არის სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგი, რომელიც ემსახურება ბოსტნეული კულტურების მოყვანას. ბოსტნეული ადამიანის კვების აუცილებელი პროდუქტია. მეცნიერული კვლევების მონაცემების მიხედვით ადამიანთა კვების რაციონში 1/4 ნაწილი უნდა ეკავოს სხვადასხვა სახის ბოსტნეულის მოხმარებას, ხოლო წელიწადში საჭიროა მოხმაროს 130 – 150 კგ ბოსტნეულის და ბაღიეულის პროდუქტი. განსაკუთრებით სასარგებლოა ბოსტნეულის მოხმარება ნედლი სახით, ამიტომაც აუცილებელია წლის განმავლობაში მათი რამდენჯერმე თესვა. მოხმარების ვადის გახანგრძლივების მიზნით უნდა გამოვიყენოთ კულტურათა სხვადასხვა სახეობები და ჯიშები, განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს გარდამავალ ბრუნვაში დაცულ გრუნტში მებოსტნეობის განვითარებას, ზამთარში სათ-

ბურებში მწვანილეულის წარმოებას, შემოდგომაზე მოწვეული ბოსტნეულის შესანახი საცავების გამოყენებას და სხვა. საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური პირობები, გეოგრაფიული მდებარეობა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხანგრძლივი ისტორია, 70-ზე მეტი სახეობის საადრეო, საშუალო და საგვიანო ბოსტნეულის, მათ შორის საადრეო კარტოფილის წარმოება, სავარგულების და იაფი მუშახელის სიუხვე განაპირობებს სხვა დარგებთან ერთად მებოსტნეობის პრიორიტეტულ დარგად ჩამოყალიბებას. საქართველოში ბოსტნეულს აწარმოებენ როგორც ღია, ასევე დაცულ გრუნტში. ამ უკანასკნელს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შემოდგომა-ზამთარში და ადრე გაზაფხულზე ახალი ბოსტნეულით მომარაგების საქმეში, მაგრამ ბოსტნეულით ძირითადი მომარაგებელი მაინც

ღია გრუნტია და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს.

2011 წლის მდგომარეობით საქართველოში ბოსტნეულის წარმოებამ შეადგინა სულ 185,8 ათასი ტონა, მაშინ როცა ერთ სულ მოსახლეზე, ტურისტზე, სტუმარზე და საბაზრო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭიროა 650 000 - 700 000 ტონა ბოსტნეულის წარმოება. ამისათვის ბოსტნეულმა უნდა დაიკავოს სახნავი მიწის 5,5-6%, რაც შეადგენს 45-50 000 ჰა ფართობს და კულტურების მიხედვით წარმოებული უნდა იქნეს: პამიდორი - 900 ათასი ტონა, კომბოსტო - 270 ათასი ტონა, კიტრი - 40 ათასი ტონა, ხახვი - 55 ათასი ტონა, ბადრიჯანი - 32 ათასი ტონა, მწვანელი და მწვანე ხახვი - 280 ათასი ტონა, სტაფილო - 84 ათასი ტონა, ჭარხალი - 75 ათასი ტონა, წიწაკა ტკბილი - 275 ათასი ტონა, წიწაკა მწარე - 16,5 ათასი ტონა, ნიორი - 20 ათასი ტონა. კარტოფილი - 500 ათასი ტონა, ლობიო და საკონსერვო ბარდა - 150 ათასი ტონა, ბაღჩეული - 200 ათასი ტონა, დანარჩენი სხვა - 40 ათასი ტონა.

ბოსტნეული კულტურების, ისე როგორც ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და ხარისხი დამოკიდებულია ჯიშზე და ხარისხიან თესვზე. ამ ორი ფაქტორის გარეშე, რაც არ უნდა მოვლამოყვანის საუკეთესო ტექნოლოგიური ფონი შევუქმნათ ნათესს, მისგან სასურველ შედეგს ვერ მივიღებთ. ჯიშის და ხარისხიანი თესვის უზრუნველყოფაა ბოსტნეულის დაბალი საქმეტირო მოსავლიანობის მიზეზი. საქართველოს მთავრობამ უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის მეურნეობის მომარაგებას ჯიშიანი, კონდიციური თესვებით. სწორედ ამიტომ მებოსტნეობის დარგის მეცნიერები უპირველესად ყურადღებას აქცევენ მეთესლეობის საკითხს და ძირითად ამოცანად თვლიან ადგილობრივ პირობებთან კარგად შეგუებული მაღალხარისხოვანი და დიდმოსავლიანი, სელექციური და ადგილობრივი ჯიშების კონდიციური თესვების დამზადებას. უკანასკნელი 5-10 წლის განმავლობაში რეგისტრირებულია ძირითადი ბოსტნეული კულტურების: პამიდორი, ხახვი, კომბოსტო, საბოსტნე ლობიო, საბოსტნე ბარდა, საბოსტნე სოია - მაღალმოსავლიანი ჯიშები, რომლებიც საჭიროებენ გამრავლებას დიდ ფართობებზე და თესვის წარმოებას იმ რაოდენობით, რომ დაკმაყოფილდეს საბაზრო მოთხოვნილება ამ კულტურებზე. ამავე დროს აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან მრავალფეროვანი სათესლე მასალის მისაღებად, განსაკუთრებით ისეთი დელიკატესი კულტურების, როგორცაა: კომბოსტოს ნაირსახეობა: ყვავილოვანი, ბრიუსელის, სავოისის, ბროკოლის, საბოსტნე მიმართულების: სიმინდი, ლობიო, ბარდა, სოია, სალათების ნაირსახეობა, რომლებზეც მოთხოვნილება დიდია. ამასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ადგილობრივი რეგისტრირებული ჯიშების გამრავლებას სადემონსტრაციო ნაკვეთებზე და რეპროდუქციული თესვების წარმოებას.

ბოსტნეულ კულტურებზე სელექცია მიმდინა-

რობდა მიწათმოქმედების ინსტიტუტში და მისი დაქვემდებარების სტრუქტურულ ერთეულებში: გარდაბანი, გორი, წყალტუბო. ჯიშების გამოცდას ზონების მიხედვით აწარმოებდა საქართველოს ჯიშთა გამოცდის სახელმწიფო კომისია.

სამწუხაროდ დღეს ეს სისტემა თავისი რგოლებით მოშლილია. ქვეყანაში შემოდის ბოსტნეულის შეუმოწმებელი თესვები თურქეთიდან, გერმანიიდან, პოლანდიიდან, რომელსაც ყიდულობენ მებოსტნე ფერმერები და მებოსტნეობით დაინტერესებული პირები. ყოველივე ეს არის მიზეზი ბოსტნეულის დაბალი მოსავლიანობის და მოსავლის დაბალი ხარისხის. არის თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მეთოდების უკონტროლობა და დანერგვის საფრთხე, ახალგაზრდა კადრების მწვავე დეფიციტი. ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლის ნაკლებობა ქვეყნის შიგნით და გარეთ. ცოდნის და გამოცდილების უკმარისობა ex-situ და in-situ კონსერვაციის სფეროში. გენეტიკური რესურსების ხელმიუწვდომლობა ფერმერებისათვის და კანონმდებლობის დაუცველობა. ბოსტნეულის გამოყენებასთან დაკავშირებული ტრადიციული ცოდნის და გამოცდილების დაკარგვა. არსებული კვლევითი ინსტიტუტის, მებოსტნეობის განყოფილების და კათედრის გაუქმება, საგანმანათლებლო პროგრამის არასრულყოფილება, მანქანა-იარაღების და შენობა-ნაგებობების დეფიციტი.

მებოსტნეობის განვითარებისათვის აუცილებელია დარგის ინტენსიფიკაცია, წარმოების კონცენტრაცია, სპეციალიზაცია, ბოსტნეულის სელექცია - მეთესლეობის სისტემის აღდგენა თავისი რგოლებით, ჯიშთა დაცვის და გამოცდის სამსახურის განახლება, მჭიდრო კავშირის დამყარება მებოსტნეობის მსოფლიო ცენტრთან, სელექციური მუშაობის განახლება საცდელ სადგურებში, ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევებისა და გამოცდილების საფუძველზე დამუშავებული სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვა. **ბოსტნეული კულტურების:** პამიდორი, კიტრი, ხახვი, კომბოსტო, წიწაკა, ბადრიჯანი, ნიორი, პრასი, ნესვი, გოგრა, სახამთრო რეკომენდირებული ჯიშების პირველადი მეთესლეობის დაწყება. აგრეთვე ზოგიერთი ნაკლებად გავრცელებული კულტურებისთვის: ბროკოლი, სატაცური, ფიხალისი, სალათები - რომლებზეც უდიდესი მოთხოვნაა - შერჩევა საქართველოს მებოსტნეობის ზონებში (სუბტროპიკული, ზომიერად თბილი, მაღალმთიანი) მეთესლე-ფერმერთა კავშირების და ასოციაციების, რომლებიც დაიწყებენ მეცნიერების მიერ საცდელ სადგურებში წარმოებული ბოსტნეულის მეორად მეთესლეობას და სათანადო სერთიფიცირების შემდეგ კონდიციურ თესვებს გაყიდვით ბაზარზე.

2005 წლიდან მიწათმოქმედების ინსტიტუტში ICARDA-ს (მშრალ რეგიონებში სასოფლო-სამეურნეო კვლევის საერთაშორისო ცენტრი) ფინანსური მხარდაჭერით ფუნქციონირებს გენბანკი საშუალო ვადიანი შენახვისათვის. დღევანდელი მდგომარეობით გენბანკში მოთავსებულია 4000-ზე მეტი ნიმუში. აქედან ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 600-ზე მეტი ჯიშის სათესლე მასა-

ლა. ამ კოლექციის უსაფრთხოების უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მიუხედავად ამისა, დღეს ეს უნიკალური მასალები დიდი საფრთხის წინაშეა. სასწრაფოდ საჭიროა მასზე ყურადღების გამახვილება. საქართველოს მდიდარი მემ-

კვიდრობის დაცვას და მის შენახვას მომავალი თაობებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის გრძელვადიანი სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს ნიადაგების არსებული მდგომარეობა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების გზები

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 25 იანვარს მოისმინა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გოგოლა მარგველაშვილის მოხსენება: “საქართველოს ნიადაგების არსებული მდგომარეობა და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების გზები”.

აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება უპირველესად ნიადაგზე და მის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული.

საქართველოში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობის შემდგომი გადიდების რესურსები განსაზღვრულია. მოსახლეობა კი მჭიდროდ არის დასახლებული. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაზე მუდმივად მზარდი მოთხოვნა ძირითადად ფართობის ერთეულზე მოსავლიანობის გადიდებით უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოში მაღალი ხარისხის ბუნებრივად ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწა 38%-ს შეადგენს, საშუალო ხარისხის 21%-ს, ხოლო დაბალი ხარისხის - 41%-ს.

მოტანილი ციფრებიდან ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის მცირემიწიანობას ისიც ემატება, რომ მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დაბალნაყოფიერ ნიადაგებს, რომელთა გაკეთილშობილება სპეციფიკური არაორდინალური ღონისძიებების გატარებას საჭიროებს და იგი დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

დაბალნაყოფიერი ნიადაგებიდან განსაკუთრებით საშიშ მასშტაბებს აღწევს ეროზირებული ნიადაგები, რომელსაც მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 33% უჭირავს. ეროზიას ქვეყნის წინაშე მდგარ ეკოლოგიურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

ეროზირებული მილიონი ჰექტარიდან 330 ათასი ჰა სახნავ-სათესი ფართობია, რომელთაგან 221 ათასი წყლისმიერ ეროზიას განიცდის, 109 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა კი – ქარისმიერ ეროზიას. აღსანიშნავია ისიც, რომ სარწყავ ზონებში სოფლის მეურნეობას საგრძნობ ზიანს აყენებს ე.წ. ირიგაციული ეროზია, რაც არასწორი რწყვით არის გამოწვეული.

ეროზიის გარდა ქვეყნისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოს ნახევრად გაუდაბნოებულ ტერიტორიებზე გავრცელებული დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები, რომელთა ფართობი 205 ათას ჰექტარზე მეტია.

აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო ზონაში გავრცელებული დამლაშებული და ბიცობი ნიადაგები ხასიათდებიან აგრონომიულად არახელსაყრელი თვისებებით. ასეთ პირობებში დაბალია ს/ს კულტურების მოსავლიანობა

(საშემოდგომო თავთავიანების მოსავალი 0,9-1 ტ/ჰა არ აღემატება). მაშინ როცა იმ უნიკალურ ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში, სადაც აღნიშნული ნიადაგებია გავრცელებული კომპლექსური აგრომელიორაციული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ მარცვლეულის, ბოსტნეულის და საკვები კულტურების მოსავლიანობა 2,5-3,0-ჯერ და მეტად იზრდება.

საქართველოში 220 ათასი ჰექტარი დაჭაობებული ნიადაგია. ისეთი მცირემიწიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო კოლხეთის დაბლობის ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას უდიდესი ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია. 1990 წლისათვის კოლხეთის დაბლობზე დაშრობილი იყო 140 ათასი ჰექტარი. აქედან, ათვისებული იყო 103,9 ათასი ჰა;

სასოფლო-სამეურნეო მიწის დაახლოებით 11% (330 ათასი ჰა) საქართველოში მუავე ნიადაგებს უკავიათ. ძლიერ მუავე ნიადაგების ფართობმა დასავლეთ საქართველოში 37 ათას ჰა-ს მიაღწია, სადაც ეკონომიკურად ღირებული მოსავლის მიღება პრაქტიკულად შეუძლებელია.

თანამედროვე ეტაპზე სამთომომპოვებელი მრეწველობის ინტენსიფიკაცია სასარგებლო წიაღისეულის დია წესით მოპოვების სულ უფრო ფართოდ დანერგვის ხარჯზე წარმოებს. მაღალი რენტაბელობის გამო იგი ყველგან გამოიყენება სადაც კი საბადოს გეოლოგიური აგებულება ამის საშუალებას იძლევა. დღეისათვის ამ წესით მოპოვებული წიაღისეულის წილი 75-80%-მდე გაიზარდა. ამასთანავე, მისი უარყოფითი გავლენა დიდია. კერძოდ, წყობიდან გამოდის სხვადასხვა სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი, ხოლო ნაყარები, კარიერები, წარმოების ნარჩენები და სხვა სახის დარღვეული მიწები ხშირად გარემოს დაბინძურების წყაროსაც წარმოადგენენ.

ქვეყნის მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის 80%-ზე მეტი ღარიბია საკვები ელემენტებით, რაც სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაბალ და უხარისხო მოსავლიანობას განაპირობებს. განსაკუთრებით დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ ქვეყნის ყველა რეგიონში შეინიშნება ნიადაგის ნაყოფიერების უმთავრესი მაჩვენებლის - ჰუმუსის მწვავე დეფიციტი და მისი ბალანსი უარყოფითია. ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების შენარჩუნ-

ბა ამდღეობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა უკვე კრიტიკულ დონეს მიაღწია, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას. ნიადაგის მდგომარეობის ასეთ ფონზე, უსახსრობის გამო, პრაქტიკულად შეწყვეტილია ნიადაგების გამოკვლევის სამუშაოები. პრაქტიკულად არ ხდება ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგი და შესაბამისად მისი მართვა. ნიადაგის განოყიერება ძირითადად არაეფექტიანად ტარდება, ელემენტარული წესების დაუცველად, ან საერთოდ უგულებელყოფილია სასუქების, შესაბამისი ტექნიკისა და ცოდნის არქონის გამო. ნიადაგში შესატანი სასუქების ოპტიმალური დოზების განსაზღვრა არ წარმოებს ლაბორატორიული ანალიზის საფუძველზე. ადგილი აქვს აგროქიმიკატების უკონტროლო გამოყენებას. ყოველივე ამის გამო სახეხეა საკმაოდ დიდი ფართობის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოვარდნის რეალური საშიშროება, რისი დაშვების უფლებაც ჩვენს ქვეყანას არ აქვს.

საქართველოში, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ახალი მიწების ჩართვის შესაძლებლობა საკმაოდ შეზღუდულია; ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაზრდის ერთადერთ გზად არსებული სავარგულების ნაყოფიერების ამაღლება და რაციონალური გამოყენება ითვლება. ამიტომ, მიწაზე საკუთრების ფორმის მიუხედავად სახელმწიფო, პირველ რიგში, არსებული მიწის ფონდის შენარჩუნებაზე უნდა იზრუნოს. უფრო მეტიც, ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების პროგრამის განხორციელება მთავრობის მიერ უნდა განხილვოდეს არა მარტო როგორც მიწის ფონდის შენარჩუნების კამპანია, არამედ, როგორც ქვეყნის სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა და იგი ქვეყნის უპირველესი სტრატეგიული მიზანი უნდა იყოს.

პირველ რიგში აუცილებელია შემუშავებული იქნეს საქართველოს მიწის ფონდის შენარჩუნების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა. იგი თავის მხრივ მოიცავს შემდეგ ქვეპროგრამებს: „საქართველოს ნიადაგების ეროზიისგან დაცვის მიზნობრივი პროგრამა“; „საქართველოს დამლაშებული ნიადაგების მელიორაციისა და მათი ნაყოფიერების ამაღლების მიზნობრივი პროგრამა“; „კოლხეთის ჭარბტენიანი მელიორირებული ნიადაგების გაკულტურების და სასოფლო-სამეურნეო ათვისების მიზნობრივი პროგრამა“; „გაუდაბნობასთან ბრძოლის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამა“; „წიაღისეულის ღია წესით მოპოვების შედეგად წყობიდან გამოსული მიწების რეკულტივაციის მიზნობრივი პროგრამა“.

ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებების გატარება ეფექტური იქნება მსხვილ სპეციალიზებულ მეურნეობებში („ფერმერთა ჯგუფები ან გაერთიანებები“, „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და გაერთიანებები“ და სხვა) მიწის რესურსების კონსოლიდირების პირობებში.

აღნიშნული სახელმწიფო პროგრამების მომხადებისა და შემდეგ მათი პრაქტიკული განხორციელებისთვის პირველ რიგში აუცილებელია ნი-

ადაგების პასპორტიზაციის (ინვენტარიზაციის) ჩატარება;

ნიადაგების პასპორტიზაციის (ინვენტარიზაციის) ჩატარება შესაბამისი დარგის მეცნიერების (ნიადაგმცოდნის, ნიადაგმცოდნე-ეროზიონისტი, ნიადაგმცოდნე-მელიორატორის, აგროქიმიკოსის, მიკრობიოლოგის) მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია. მიგვაჩნია, რომ საქართველოს მიწის ფონდის შენარჩუნების გრძელვადიანი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის შემუშავება – განხორციელების საქმეს სათავეში მ.საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტი უნდა ჩაუდგეს, ამის ინტელექტუალური პოტენციალი მას ნამდვილად გააჩნია. (ითვლებოდა რა მეტაურ დაწესებულებად ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის დარგში ინსტიტუტი მოწოდებული იყო დაემუშავებია ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მეცნიერული საფუძველები. უმთავრეს ამოცანას შეადგენდა: ქვეყნის ნიადაგური საფარის შესწავლა, მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-გაუმჯობესება, მიწების რაციონალურად გამოყენება; ეროზიისაგან ნიადაგის დაცვისა და ეროზირებული ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებების შემუშავება; დამლაშებული და ბიცობი ნიადაგების ნაყოფიერების ამაღლების და კოლხეთის დაბლობის ჭარბტენიანი მელიორირებული ნიადაგების გაკულტურებისა და მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისების რაციონალური ტექნოლოგიების დამუშავება; სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის მინერალური და ორგანული სასუქების დოზების, ფორმებისა და შეფარდებების დადგენა მაღალი ხარისხის და ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის მისაღებად; სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვების ადგილებში წყობიდან გამოსული ნიადაგების რეკულტივაცია და მრავალი სხვა).

აუცილებელია, დადგეს მ.საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ს/კ ინსტიტუტის ა.ი.პ. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტიდან გამოყოფის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით აღდგენის, მეცნიერთანამშრომელთა დაბრუნებისა და სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუციების მიერ ინსტიტუტის კუთვნილი ქონების მითვისების საკითხი. (აგრარული უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში გადასვლამ ფაქტიურად გაანადგურა ინსტიტუტი. განთავისუფლებულია ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელთა მთელი კონტიგენტი, მიტაცებულია ინსტიტუტის კუთვნილი ქონება).

აუცილებელია აღდგენილ იქნეს ადრე არსებული „აგროქიმიური და ნიადაგის ნაყოფიერების სამსახური“ თავისი ლაბორატორიული ქსელით; თანამედროვე აპარატურა-მოწყობილობით აღჭურვილი ორი ცენტრალური სამეცნიერო-საწარმოო ლაბორატორია: ერთი – თბილისში, რომელიც მოემსახურება აღმოსავლეთ საქართველოს და მეორე – ოზურგეთში (ანასეულში), რომელიც მოემსახურება დასავლეთ საქართველოს (დღემდე შენარჩუნებულია ორივე ლაბორატორია მწირი, მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მაღალკვალიფიციური კადრებით, მაგრამ, უსახსრობის გამო პრაქტიკულად ვერ საქმიანობენ.

აღნიშნული ლაბორატორიები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე პერიოდულად ჩაატარებენ ნიადაგის ნაყოფიერების მონიტორინგს და ყოველი კონკრეტული სავარგულისთვის შეადგენენ რეკომენდაციებს მისი ნაყოფიერების შენარჩუნება-ამაღლებისთვის. ნიადაგისა და მცენარის ანალიზის საფუძველზე მოხდება შესატანი სასუქების ოპტიმალური დოზების განსაზღვრა. დადგინდება სასუქების საჭირო ფორმები და რაოდენობა, მოხდება ქვეყანაში მათი შემოტანის და გამოყენების ორგანიზება.)

ნიადაგის დაცვა და მისი ნაყოფიერების ამაღლება არ არის მარტივი საქმე. იგი მაღალკვალიფიციურ აგროპერსონალს საჭიროებს. აუცილებელია ქვეყანას ყავდეს ნიადაგმცოდნეები და აგროქიმიკოსები, რომლებიც ამ საშვილიშვილო საქმეს მოემსახურებიან. აუცილებლად მიგვაჩნია აგრარულ უნივერსიტეტში უკვე გაუქმებული ნიადაგმცოდნეობისა და აგროქიმიის სპეციალობის აღდგენა ან ამ სპეციალობების შემსწავლელი დისციპლინების სწავლება მაინც.

ჰიბრიდული სიმინდი - მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის საწინდარი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 28 მარტს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ოთარ ლიპარტელიანის მოხსენება: “ჰიბრიდული სიმინდი - მაღალი მოსავლიანობისა და ხარისხის საწინდარი”.

აღინიშნა, რომ სიმინდი კულტურული ფლორის ერთ-ერთი უძველესი ერთწლოვანი, ბალახოვანი, მძლავრი განვითარების, მოკლე დღის სიბოხსა და სინათლის ერთლებნიანი, გაყოფილ სქესიანი, ჯვარედინ დამამტვერიანებელი, უხვმოსავლიანი, სასურსათო, საკვები, სამრეწველო და სამკურნალო მცენარეა. მას კარგად იცნობდნენ ძველი ინდიელი ტომები ამერიკაში. აცტეკები მექსიკაში, მაიები ცენტრალურ ამერიკაში და ინკები პერუში. მათ სიმინდი მოჰყავდათ ჩვ. წ. აღ. 5000 წლის წინათ და იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულებით.

საქართველოში სიმინდი შემოტანილი იქნა ესპანეთიდან მე-17 საუკუნის I ნახევარში 360 წლის წინათ კაჟა ფორმები, ხოლო 250 წლის წინათ კბილა ფორმები. სიმინდმა თავისი ბიოლოგიური, ბოტანიკური და სამეურნეო თვისებებით სწრაფად დაიმსახურა ყურადღება და გახდა პირველხარისხოვანი მარცვლეული კულტურა. სიმინდისაგან მზადდება 500-ზე მეტი დასახელების სასურსათო საკვები, სამრეწველო და სამკურნალო საშუალებები.

გასული საუკუნის I ნახევარში ქართველმა გლეხმა იმდენად აულო ადლო სიმინდის მოვლა-მოყვანას, რომ ის გახდა საექსპორტო კულტურაც. სიმინდის მარცვალი ტონობით გადიოდა შავი ზღვით უცხოეთში, ხოლო თესლი შუა აზიასა და ჩრდილო კავკასიაში. ამჟამად სიმინდს მარცვლეული კულტურებს შორის როგორც ნათესო ფართობით, ასევე საერთო მოსავლით პირველი ადგილი უკავია საქართველოში. ითესება 130000 ჰექტარზე და საერთო მოსავალია 191000 ტონა. ხორბალი ითესება 50,2 ათ. ჰექტარი და საერთო მოსავალია 53,9 ათ. ტონა. ერთ მოსახლეზე იწარმოება საქართველოში 126 კგ მარცვალი წელიწადში. მათ შორის ხორბალი 12 კგ და სიმინდი 66 კგ.

სელექცია არის მეცნიერება მცენარეთა ახალი ჯიშების და ჰიბრიდების გამოყვანის შესახებ. ეს არის კომპლექსური მეცნიერება, რომელიც მჭიდრო კავშირშია ისეთ მეცნიერებებთან, როგორცაა ბოტანიკა, ფიზიოლოგია, ბიოქიმია, ანატომია, ციტოლოგია, მათემატიკა. სელექციური მეცნიერების

თეორიული საფუძველი არის გენეტიკა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ ჰიბრიდის მოსავლიანობის, მისი ხარისხის გადიდების ძირითადი ფაქტორია მაღალმოსავლიანი ჯიშის ჰიბრიდი და ხარისხიანი თესლი. ამ ორი ფაქტორის მიღწევებით ამერიკისა და ევროპის მოწინავე ქვეყნებმა სიმინდის მოსავლიანობა 80%-ით გააძვირეს.

სიმინდის მეცნიერულ სელექციას საფუძველი ჩაუყარა პროფ. ლეონარდე დეკაპრელევიჩმა 1914 წელს, თბილისის ბოტანიკური ბაღის სელექციის განყოფილებაში და შემდეგ 1933 წლიდან საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგურში, მცხეთაში. აქ სელექციის პირველ ეტაპზე ჩატარებული იქნა საქართველოში არსებული სიმინდის ჯიშების ინვენტარიზაცია და შესწავლა. მეორე ეტაპზე არსებული მასალიდან გამორჩევის მეთოდით გამოყვანილი იქნა ჯიშები: იმერული ჰიბრიდი, აჯამეთის თეთრი, აბაშური ყვითელი, ქართული კრუგი, გეგუთური ყვითელი, ადგილობრივი კაჟოვანა თეთრი და ყვითელი. მესამე ეტაპზე დადგენილი იქნა სიმინდის აბორიგენული ჯიშების კომბინაციები, უნარი, მათი სამეურნეო ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური, ბიოქიმიური თვისებები. მეოთხე ეტაპზე დაიწყო სიმინდის სელექცია ჯიშთაშორისი და ხაზთაშორისი ჰიბრიდიზაციის მეთოდით. ისე როგორც სიმინდის სამშობლო არის ამერიკა, ასევე მისი სელექციის ფუძემდებელია ამერიკელი სელექციონერები.

მცენარეულ ფორმებში, ჰიბრიდის მნიშვნელობა – მოვლენა ჰეტეროზისის ანუ ჰიბრიდული ძალა აღმოაჩინა რუსმა მეცნიერმა კელრეიტერმა 1860 წელს. მან მიიღო თამბაქოს სახეობათაშორისი ჰიბრიდი – წეკოსი და პერუს სახეობის ერთმანეთთან შეჯვარებით. მან პირველმა შეიმუშავა ყოველწლიურად პირველი თაობის თესლის მიღების მეთოდიც. ამ მოვლენას შემდგომში ამერიკელმა მეცნიერმა შელმა 1914 წელს უწოდა ჰეტეროზისი. მან მიიღო კულტურული და ველური მზესუმზირის ჰიბრიდი. კელ რეიტერის შემდეგ ჰეტეროზისის მოვლენა უფრო სრულყოფილად შეისწავლა დარვინმა, რომელიც გამოაქვეყნა 1876

წელს. შრომაში „მცენარეთა სამყაროზე თვითდამტვერვისა და ჯვარედინად განაყოფიერების მოქმედება“ დარწმუნა მიიღო სიმინდის პირველი ხაზიც.

სიმინდის ხაზთაშორისი ჰიბრიდიზაცია პირველად დაიწყო შეღმა 1904 წელს ამერიკაში ილინოისის საცდელ სადგურში. 1926 წელს აიოვას შტატში დაარსდა კომპანია პიონერი ყოფილი სოფლის მეურნეობის მინისტრის და ვიცე პრეზიდენტის ჰენრი უოლესის მიერ, რომელიც დღეს სამეცნიერო კვლევით მუშაობას ეწევა 4 ქვეყანაში: ამერიკა, კანადა, მექსიკა და ბრაზილია, სადაც აქვს 90 სამეცნიერო კვლევითი ცენტრი და მუშაობს 6700 მეცნიერი. კარგი ნიადაგურ-კლიმატური პირობების 8 ქვეყანაში: ამერიკა, კანადა, რუმინეთი, ხორვატია, საფრანგეთი, იტალია, თურქეთი, უნგრეთი აწარმოებს პირველი თაობის თესლის გამოყვანას 5800 ჰექტარზე და აკმაყოფილებს ჰიბრიდულ თესლზე მსოფლიო მოთხოვნილების 30%-ს.

საქართველოში სიმინდის სელექცია ხაზთაშორისი ჰიბრიდებზე დაიწყო 1955 წლიდან პროფ. დეკაპრელევიჩის ხელმძღვანელობით. 1956 წელს შეიქმნა სიმინდის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომელშიც კავშირის მასშტაბით გაერთიანდა 29 სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი და 9 საცდელი სადგური. მათ შორის საქართველოს სახელმწიფო სასელექციო სადგური. სადგურებს დაევალებათ ხაზებისა და ხაზთაშორისი ჰიბრიდების გამოყვანა, რაც განაპირობა სიმინდის მნიშვნელობამ, მისი მოსავლიანობის გადიდების აუცილებლობამ და მეცნიერების მიერ მოპოვებულმა შედეგებმა.

სიმინდზე თანამედროვე სელექცია დაფუძნებულია ინცუბტზე და ხაზთაშორისი ჰიბრიდიზაციაზე. ჩვენი მიზანი 1955 წლიდან არის ავტოსტონურ ჯიშებიდან ისეთი ხაზების გამოყვანა, რომლებიც ურთიერთშეჯვარებულ და შემოტანილ ხაზებთან დაწყვილებით მოგვეცემდნენ პროდუქტიულობით, დაავადება-მაგნებლების მიმართ გამძლეობით, პროდუქციის ხარისხით და მთელი რიგი ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური თვისებებით უკეთეს ჰიბრიდებს, ვიდრე ადგილობრივი და შემოტანილი ფორმებია.

სიმინდის მცენარეში არის 500-მდე გენეტიკური ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავენ ხარისხობრივ და რიცხობრივ მახვენებლებს. ეს გენები იყოფა 4 კატეგორიად: 1) ხარისხის განმსაზღვრელი, დომინანტურად მოქმედი; 2) რეცესიული მუტაციის არასასარგებლო მოქმედების მაკონტროლებელი, რომლებიც აკონტროლებენ რიცხობრივი თვისებების მოქმედებას; 3) კუმულიაციური – ერთობლივი მოქმედების პოლიმერული თვისებების; 4) მოსავლიანობის – ჰიბრიდული ძალის გამომხატველი.

ჰეტეროზისის ანუ ჰიბრიდული ძალის გამოვლინების ორი კატეგორიაა: 1) ალელური ანუ სრული დომინირება და 2) არალელური ანუ კომპლემენტარობა, ეპისტაზი, პოლიმერია, მოდიფიკაცია. ჰეტეროზისი არის განსხვავებული ბირთვისა და ციტოპლაზმის (დომინანტური გენების) ურთიერთ ზემოქმედების შედეგი.

ჯიშთაშორისი ჰიბრიდებში ჰეტეროზისი ანუ მოსავლიანობა იზრდება 8-10 %-ით, ჯიშხაზურში 19-20%, ხოლო მარტივ ხაზთაშორისი ჰიბრიდებში 40%.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ამერიკა, საფრანგეთი, მექსიკა, არგენტინა, უკრაინა, რუსეთი, მოლდოვა მიღებული იქნა საინტერესო ფორმები. ამ მასალის გამოყენებით გამოყვანილი იქნა 3000-ზე მეტი ხაზთაშორისი ჰიბრიდი. მათ შორის 41 საუკეთესო სხვადასხვა დროს გადაეცა ჯიშთა დაცვისა და გამოცდის სახელმწიფო კომისიას და წარმოებაში დაინერგა 10 ხაზთაშორისი ჰიბრიდი და 1 ჯიში, აქედან 2 ჰიბრიდი და 1 ჯიში უცხოეთში.

გასული საუკუნის 1990-იან წლებში სიმინდის ქართული ხაზთაშორისი ჰიბრიდები „ქართული-9“, „ენგური“, „ივერია-503“, „ქართული-52“ და „ივერია-70“ ითესებოდა საქართველოში 70000 ჰექტარზე და საერთოდ სიმინდის ნათესის 250000 ჰექტარზე საშუალო მოსავალი იყო 2,7 ტონა. სიმინდის მარცვლის საერთო მოსავალი 448000 ტონა ანუ დღევანდელთან შედარებით 257 ტონით ნაკლები.

უკანასკნელ წლებში ჩატარებული სამუშაოების შედეგად 2011 წელს საქ. პატენტს გადაეცა 2 ხაზთაშორისი ჰიბრიდი, წილკანი 1, წილკანი 2 და 1 სინთეტიური ჰიბრიდი.

სიმინდზე სელექციური მუშაობის მთავარ მიმართულებად ითვლება ხაზთაშორისი ჰიბრიდიზაცია, რომელიც იძლევა საშუალებას გამოყვანილი იქნას მაღალმოსავლიანი, ხარისხიანი პროდუქციის მომცემი, ჩაწოლისა და დაავადებების მიმართ იმუნური, მექანიზირებული წესით მოვლამოყვანისათვის ხელსაყრელი ხაზთაშორისი, მარტივი, ჯიშხაზური და სამხაზოვანი ჰიბრიდები.

რამდენადაც მდიდარია გენეტიკურად ხაზების საწყისი ჯიშები, იმდენად მათგან მიიღება მრავალმხრივ საინტერესო ხაზები. თვითდამტვერვა ავლენს ჯიშის გენეტიკურ სიმდიდრეს, რაც დაფარულია მის გენოტიპში.

სამეურნეო, ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური ნიშანთვისებებით სიმინდის უცხოურ და ადგილობრივ ჰიბრიდებთან შედარებით უკეთესი ჰიბრიდების გამოყვანის ყველაზე ეფექტური ღონისძიებაა უკეთესი ადგილობრივი ჯიშებიდან მიღებული ხაზებისა და უცხოური ხაზების ერთმანეთთან შეჯვარება.

მეხილეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურმა საბჭომ 2013 წლის 28 მარტს მოისმინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გივი ბადრიშვილის მოხსენება: **“მეხილეობის დარგში არსებული მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები საქართველოში”**.

აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ საექსპორტო, პროდუქციის მომცემ დარგს წარმოადგენს მეხილეობა, რომელიც აერთიანებს საქართველოში გავრცელებულ 100 კულტურას და ათასობით ჯიშს.

საქართველოს ბუნებრივი კლიმატური პირობები შესანიშნავი ხელისშემწეობი მნიშვნელოვანი ფაქტორია მეხილეობის დარგის განვითარებისათვის.

ცნობილია, რომ ერთი ჰექტარი ხეხილის ბაღი იძლევა 10 ჰექტარ სახნავი მიწის ტოლფას შემოსავალს, რაც ასაბუთებს წარმოების გადიდების მიზანშეწონილებას.

მეხილეობის განვითარებისთვის მიზანშეწონილია გათვალისწინებული იქნეს სოფლის მეურნეობის დარგთა შეთანაწყოება. ხილის მოსავლიანობის გაზრდა დამოკიდებულია ბაღის მფლობელის ინდივიდუალურ ფერმენტებაზე, ბაღის ტიპის შერჩევაზე, ნარგავის ფორმირებაზე, ბაზრის მოთხოვნილების მიხედვით კულტურების და ჯიშის შერჩევაზე.

გარდა საკარმიდამო (ნაკვეთებზე) ან კომერციულ ნაკვეთებზე მოსავლიანობის გადიდებისა, პარალელურად უნდა განისაზღვროს და დაპროექტდეს ხეხილის ბაღების გასაშენებლად ის ნაკვეთები, რომელზეც ხეხილი იყო დარგული.

საერთოდ აუცილებელია ჩატარდეს მრავალწლიანი ნარგავების აღრიცხვა სახელმწიფოს მიერ იმ წესით, როგორც ტარდებოდა აღრიცხვა.

ხილის წარმოების ისეთ მაშტაბებს, როგორიც საქართველოს გააჩნია, ყველა შემთხვევაში ესაჭიროება გადამამუშავებელი მრეწველობა, რომელიც მსოფლიო სტანდარტების დონეზე აწარმოებს სხვადასხვა პროდუქციას. ამჟამად გორის ტერიტორიაზე ძირითადად ორი ქარხანა მოქმედებს სხვადასხვა მიმართულებით და დატვირთვით. გამორიცხული არ არის ხილის ზრდით დამატებითი სიმძლავრეების ამოქმედების აუცილებლობა, მაგრამ მთავარია არა გადამამუშავებელი სამრეწველო საწარმოების რაოდენობის ზრდა, არამედ ხილის მწარმოებელთა და გადამამუშავებელთა ურთიერთობა, რომელმაც უნდა შექმნას ორივე მხარისთვის ხელსაყრელი და დამინტერესებელი პირობები ინტეგრაციაში დევს, რომელიც საბაზრო ურთიერთობის მოთხოვნების შესაბამისად უნდა გადაწყდეს ისე, რომ ხილის მიმწოდებელი დაინტერესებული იყოს გადამამუშავებელი საწარმოს საქმიანობის შედეგებით.

ასეთივე საფუძველზე უნდა გადაწყდეს საკითხი ხილის საცავებთან დაკავშირებით.

რამდენადაც დღევანდელ გარდამავალ ეტაპზე ხილის წარმოებისა და მიწოდების ძირითადმა მოცულობამ საკარმიდამო და კერძო მეურნეობებში გადაინაცვლა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მათი საწარმოო მომსახურების ორგანიზაცია.

საკარმიდამო მეურნეობებში ბაღების დამუშავებისა და დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის, მოსავლის ტრანსპორტირებისა და სხვა შრომატევადი სამუშაოების შესრულება უნდა იკისრონ მეწარმეებმა სახელშეკრულებო საფუძველზე შეთანხმებულ ფასებში, ან მხარი უნდა დაუჭირონ იმ ინიციატივებს, რომლებიც ივალდებულებენ სოფლად მომსახურების სფეროს შექმნას.

რაიონის ზონების მიხედვით თუ ყველა სოფელში არა, ზოგან მაინც უნდა შეიქმნას სავაჭრო ობიექტები, რომლებიც ივაჭრებენ შხამქიმიკატებით, მინერალური სასუქებით, ინვენტარით და სხვა საქონლით, რომელიც მეხილეობის დარგისთვის არის საჭირო.

განსაკუთრებულ საზრუნავს წარმოადგენს მოსავლის რეალიზაცია, რომლის გადაწყვეტის ქვაკუთხედი უნდა იყოს ის, რომ ხილის მომყვანი ბაზარში არ იდგეს.

ეს რომ ასე მოვარდეს უნდა შეიქმნას ხილის დამზადება-რეალიზაციის ალტერნატიული სტრუქტურები, რომელთა დამფუძნებლები იქნებიან ხილის მწარმოებელი სუბიექტები და თვით მეწარმეები გაუძღვებიან მათივე მოწეული მოსავლის გასაღებას. ასეთივე პრინციპით შეიძლება დარეგულირდეს მეხილეობის ტარა მასალით, ტარით და სატრანსპორტო საშუალებებით.

მეხილეობის გადამამუშავებელი მრეწველობისა და მომსახურე სფეროს ინტერესების შეთანხმების და დარეგულირების მიზნით შეიძლება შეიქმნას დარგის ასოციაცია, რომლის მონაწილე იქნება ყველა მეწარმე.

მიგვაჩნია, რომ ნერგის წარმოება და მიწოდება ძირითადად სახელმწიფოს გამგებლობაში უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს იგი ხარისხისა და ასორტიმენტის დაცვით.

მეხილეობა მაღალრეიტინგული დარგია, მაგრამ დღევანდელი კრიზისული მდგომარეობიდან მისი გამოყვანა შეღავათებისა და დახმარებების გარეშე ძალიან გაჭიანურდება და ქვეყანას ზარალი უფრო მეტი მიაღებება, ვიდრე შეღავათების განხორციელებისათვის იქნება საჭირო. ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია: ახლად გაშენებული ხილის ბაღის ფართობებზე პირველი ხუთი წლის მანძილზე გავრცელდეს შეღავათები მიწის გადასახადზე; ხილის ბაღების გაშენებისთვის გამოიყოს დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი კრედიტები; თანდათან შეიზღუდოს ხილისა და ხილის გადამამუშავებით მიღებული პროდუქციის იმპორტი, ისე, რომ ხელი შეეწყოს ადგილობრივი წარმოების პროდუქციის გასაღებას; ჩატარდეს საოჯახო მიწების პრივატიზაცია და ბაღების გაშენებისთვის ვარგისი მიწები გაიცეს გრძელვადიანი იჯარით კონკურსის წესით; მკაცრად აიკრძალოს პრივატიზირებული ბაღების გაჩეხვა ნებართვის გარეშე; დაწესდეს მეხილეობის დარგში მოპოვებული წარმატებებისთვის წამახალისებელი რაიონული პრემიები და დამტკიცდეს მისი მინიჭების წესი.

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის

ინოვაციური განვითარების კონცეფციის განხილვა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში 2013 წლის 15 მარტს გაიმართა „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის ინოვაციური განვითარების კონცეფციის“ განხილვა. კონცეფცია წარმოადგინა აკადემიკოსმა ნუგზარ ბაღათურამ.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გურამ ალექსიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი - აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: პეტრე ნასყიდაშვილი, ნოდარ ჭითანავა, ოთარ ზარდალიშვილი, გოგოთურ აგლაძე, თენგიზ ნანიტაშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე, რევაზ ჩაგელიშვილი, რევაზ მახარობლიძე, ზურაბ ცქიტიშვილი, გოგოლა მარგველაშვილი, არჩილ ვაშაკიძე, რევაზ ასათიანი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ელგუჯა შაფაქიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: თენგიზ ყურაშვილი, გივი ცაგურიშვილი, თამაზ თურმანიძე, ოთარ ლიპარტელიანი, ჯუმბერ ონიანი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბიძინა კორახაშვილი, სმ დოქტორი იოსებ სარჯველაძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩეველები: აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თამაზ კუნჭულია და ომარ კაჭარავა, აკადემიის სწავლული მდივანი, აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე, აკადემიის მთავარი სპეციალისტი ბადრი ცერცვაძე.

აკადემიკოს ნუგზარ ბადათურას მიერ წარმოდგენილი კონცეფცია ითვალისწინებს აგროტექნოპარკების შექმნას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების, მეცნიერებისა და განათლების ინტეგრაციის ფორმა, შექმნილი სოფლის მეურნეობისა

და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში არსებული ინოვაციების კომერციალიზაციის მიზნით და იგი უზრუნველყოფს მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის გამოყოფილი სახსრების ეფექტურ ათვისებას.

გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსებმა: გურამ ალექსიძემ, გივი ჯაფარიძემ, ნაპოლეონ ქარქაშაძემ, ნოდარ ჭითანავამ, ზურაბ ცქიტიშვილმა, არჩილ ვაშაკიძემ, ალექსანდრე დიდებულიძემ; აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა თამაზ კუნჭულიამ, მეცნიერებათა დოქტორმა იოსებ სარჯველაძემ, ბადრი ცერცვაძემ. გამოითქვა მოსაზრება, რომ პირველ რიგში საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შექმნა, რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული აგროტექნოპარკების საქმიანობას; ასევე მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების გამოცდილების გაცნობა ამ სფეროში; მიზანშეწონილი იქნება ამ დოკუმენტის ისეთი კონსტრუირებული სახით მიწოდება პარლამენტისთვის, რომ იგი გასაგები იყოს ყველასთვის და კანონმდებლებმა იფიქრონ მის შემდგომ განვითარებაზე. აღინიშნა, რომ აუცილებელია მთავრობას მიეწოდოს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ხედვა წარმოდგენილი კონცეფციის შესახებ.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ფართო საზოგადოების ჩართვა აღნიშნული კონცეფციის განხილვაში. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიქმნას ჯგუფი, რომელიც კიდევ ერთხელ დეტალურად განიხილავს აღნიშნულ დოკუმენტს და შეიმუშავებს უფრო კონკრეტულ წინადადებებს. ამის შემდეგ სრულყოფილი და შეჯერებული დოკუმენტი წარედგინება საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების მეცნიერული და პრაქტიკული ხედვა

2013 წლის 20 მარტს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის“ ორგანიზებით გაიმართა პრეზენტაცია მეცხოველეობის სექტორში დაკავებული მეწარმეებისათვის და სპეციალისტებისათვის.

პრეზენტაცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ. პრეზენტაციაზე განხილული იქნა საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმა, ქვეყნის ფარგლებში მიმდინარე ახალი პროექტები, სამომავლო გეგმები, ახალი შეთავაზებები. ძირითადი ყურადღება დაეთმო არსებული მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის და ღორის ჯიშების გაუმჯობესების საკითხებს მაღალპროდუქტიული პირუტყვით ჩანაცვლებისა და ხელოვნური განაყოფიერების გზით. აღნიშნულ პრეზენტაციას წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები. პირველი შეხვედრა და მეცხოველეობის დარგის პრობლემების განხილვა ჩატარდა 2012 წლის 20 დეკემბერს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების ინიციატივით - (აკადემიკოს მდივნი, აკადემიკოსი ზურაბ ცქიტიშვილი, სწავლული მდივანი აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე). გამოიკვეთა და ჩამოყალიბდა მეცნიერთა ჯგუფი

(საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი გოგოთურ აგლაძე; საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი თენგიზ ყურაშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი გიული გოგოლი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი იოსებ სარჯველაძე; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი ლევან თორთლაძე; აკადემიური დოქტორი ელიოზ ხაჭაპურიძე; აკადემიური დოქტორი თენგიზ ფირცხალაიშვილი; მათი ლამპი კომპანია „იმპრესკონ პარტნერსი“ (ფინეთი), ასოციაცია „კავკასიის გენეტიკის“ ექსპერტი, აკადემიური დოქტორი გიორგი ხატიანელი) საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობის, ვეტერინარიის, საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადამამუშავების საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილების აკადემიკოს მდივნის, აკადემიკოს ზურაბ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით. აღნიშნულმა ჯგუფმა შეიმუშავა საქარ-

თველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების სტრატეგია და გეგმა, რომლის განხილვაც მოხდა მიმდინარე წლის მარტის დასაწყისში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში მინისტრის პირველ მოადგილესთან, ბატონ დავით შერვაშიძესთან და სამინისტროს სხვა პასუხისმგებელ პირებთან.

20 მარტის შეხვედრაზე საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს გურამ ალექსიძის შემდეგ საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების სტრატეგია და გეგმა ზოგადად წარმოადგინა მეცნიერთა სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა აკადემიკოსმა ზურაბ ციციტიშვილმა. საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების სტრატეგია და გეგმის პრეზენტაცია დეტალური განხილვით წარმოადგინა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორმა, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა ლევან თორთლაძემ. მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმაში ყურადღება გამახვილდა შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებზე: მეცხოველეობის სექტორის მიმოხილვა; ფაქტორები რომელიც ხელს უშლის დარგის განვითარებას; დარგის შესაძლებლობები; საქართველოს მთიანი რეგიონების მეცხოველეობის განვითარების გეგმა; წერილი და საშუალო ფერმერული მეურნეობების განვითარების გეგმა; თბილისის რძით მომარაგების გეგმა; ხორცის წარმოების გეგმა; ტრეინინგები და გადამზადების კურსები; საკონსულტაციო მომსახურება და სხვა. გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 50 ფერმერული მეურნეობის შექმნა, თანამედროვე აღჭურვილობით, მექანიზებული სისტემებით, რომელიც გათვლილი იქნება 100 სულ მსხვილ რქოსან პირუტყვზე და დაკომპლექტდება შემოყვანილი ჯანმრთელი და მაღალპროდუქტიული უშობლებით, კომბინირებული (სარძეო, სახორცე) შვიცური, სიმენტალისა და ტარენტაიზის ჯიშებით. პრიორიტეტი მიენიჭება სარწყავ გეოგრაფიულ ადგილებს საკვები ბაზის უზრუნველყოფის მიზნით. შიდა ქართლში გათვალისწინებულია 10 ფერმერული მეურნეობა, ქვემო ქართლში – 18, კახეთში – 18 და მცხეთა-თიანეთი – 4; 5000 ფურიანი მთლიანი პროექტის ღირებულება შეადგენს 37

250 000 ევროს. აღნიშნული გეგმით გათვალისწინებულია სამცხე ჯავახეთში, ქვემო ქართლის მთიანეთში, რაჭაში, მცხეთა-თიანეთში არსებული წაბლა კავკასიური ჯიშის პირუტყვის პროდუქტიულობის გაუმჯობესება შვიცური, სიმენტალური და ტარენტაიზის ჯიშების დართვითი შეჯვარებით, ხოლო საქართველოს მაღალმთიანეთში ქართული მთის ძროხის ჯიშის ხალასად მოშენება (ხევესურეთი, სვანეთი, აჭარის მაღალმთიანეთი, თიანეთი, მთა-თუშეთი). წერილი და საშუალო ფერმერული მეურნეობებისათვის შემოთავაზებულია სარძეო მიმართულების ჯერსიული და აირშირული ჯიშები და სახორცე მიმართულების ანგუსური ჯიშები. პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, პრაქტიკოსმა ფერმერებმა.

ლორის ჯიშების გაუმჯობესების შესახებ მოხსენება გააკეთა გერმანული კომპანია „Bayern Genetic“- ის წარმომადგენელმა ბატონმა მარტინ მაიერმა. მან ისაუბრა ლორის ჯიშების გაუმჯობესებაზე ხელოვნური განაყოფიერების გზით, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ აღნიშნა, რომ იგი იცნობს კომპანია „Bayern Genetic“- ის საქმიანობას და ჰქონია მათთან ურთიერთობა ამერიკის შვერტელულ შტატებში, ქ. ვაშინგტონში მუშაობის დროს, იგი საკმაოდ ავტორიტეტული და მრავალწლიანი გამოცდილების კომპანიაა და მისასაღმებელია მისი საქმიანობის დაწყება საქართველოს მეცხოველეობის სექტორში. აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გურამ ალექსიძემ შეაჯამა შეხვედრის შედეგები. დადებითად შეფასდა მეცნიერთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარების გეგმა“. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ აუცილებელია მეცნიერთა სამუშაო ჯგუფის შეხვედრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრთან, ბატონ დავით კირვალიძესთან და ამ გეგმის განსახორციელებელი კონკრეტული ღონისძიებების განხილვა.

პირველ კვარტალში სულ მოსმენილი და განხილული იქნა 12 საკითხი, მათ შორის: საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის 2013 წლის პერსპექტიული სამუშაო გეგმის შესახებ (აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი – აკადემიკოს მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე, აკადემიის სწავლული მდივანი, აკად. დოქტორი ანატოლი გიორგაძე), „საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიურ საბჭოსთან არსებული ეროვნული კოორდინატორების დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ (აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე), საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს შესახებ (აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე).

აკადემიურ საბჭოს სხდომაზე ასევე იხილებოდა არაგემიური, მიმდინარე საკითხები. განხილულ ცალკეულ საკითხებზე, რეკომენდაციებზე სათანადო რეაგირებისათვის წერილობით ეცნობოდა ზემდგომ ორგანოებს (“მარცვლეული კულტურებისა და პიბრიდების გამოყვანის მიზნით სასელექციო სამუშაოებისა და მეცნიერული კვლევების აღდგენის აუცილებლობის და სიმინდის პიბრიდული თესლის წარმოების მნიშვნელობის შესახებ”, “საქართველოში მეხილეობის განვითარებისათვის აუცილებელი და გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელების რეკომენდაციები”).

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური საბჭო

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი-აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” მთავარი რედაქტორის მოადგილე:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის საკოორდინაციო-დარგობრივი სამეცნიერო განყოფილებების სწავლული მდივანი, აკადემიური დოქტორი ანატოლი გიორგაძე

გაზეთ “აკადემიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი:

სსმ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი, აკადემიური დოქტორი გივი მოსაშვილი

”აკადემიის მაცნე” - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ჟურნალ “მოამბის” დამატება. "News of Academy"- addition of a scientific magazine "Moambe" of The Academy of Agricultrual Sciences of Georgia.